ადიგენისა და მიმდებარე რაიონების მდგრადი განვითარების პროექტი

პროექტის მიზანს წარმოადგენდა სოფლის მოსახლეობის საარსებო საშუალებების მდგრადი განვითარება და სიღარიბის დონის შემცირება საქართველოს მაღალმთიან რაიონებში.

პროექტის ამოცანა იყო მცირე სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაუმჯობესება და ადგილობრივი მოსახლეობისათვის რესურსების და ბაზრის ათვისება ადიგენსა და მის მიმდებარე რაიონებში.

პროექტი ცდილობდა ადგილობრივი მთავრობის ჩართვას სოფლად სიღარიბის დაძლევისკენ მიმართულ პროცესებში. პროექტი დემონსტრირებას უკეთებდა თემის განვითარების, სამუშაო ადგილების შექმნის, სოფლის მეურნეობიდან შემოსავლების გაზრდის მოდელებს და უზიარებდა გამოცდილებას ადგილობრივ ხელისუფლებას. პროექტი მუშაობდა სათემო ორგანიზაციებთან, კოოპერატიულ, მეწარმე და ბიზნეს ჯგუფებთან. პროექტის მიერ შეიქმნა რაიონული მუშა ჯგუფი, რომლის მიზანიც არის გააუმჯობესოს ხელისფულების თანამშრომლობა მოსახლეობასთან. ეს მიდგომა ხელს შეუწობს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებას და გაზრდის ადგილობრივი მთავრობის შესაძლებლობას უკეთესი რეაგირება მოახდინოს მოსახლეობის პრობლემებზე.

რას აკეთებდა პროექტი:

იყენებდა თემის განვითარების ისეთ მიდგომებს, რომლებიც ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურ ჩართვას თემის განვითარების პროცესებში.

ხელს უწყობდა ბიზნესის განვითარებას ბიზნესისა და მარკეტინგის სფეროში ფერმერთათვის ტრენინგების ჩატარებით

ხელს უწყობდა ფერმერთათვის ხელსაყრელი საკრედიტო სქემის შექმნას სასოფლო სამეურნეო საკრედიტო მოდელებისა და საქონლის გირაოდ გამოყენების ჩამოყალიბებით.

ხელს უწყობდა ბენეფიციართა იურიდიული ცოდნის ამაღლებას, სთავაზობდა მათ უფასო იურიდიული მომსახურეობასა და დავის გადაწყვეტის მოქნილ მექანიზმს - საარბიტრაჟო სასამართლოს.

ხელს უწყობდა სასოფლო-სამეურნეო კონსულტაციისა და მომსახურების განვითარებას, რომელიც გულისხმობს მემცენარეობაში, მეცხოველეობასა და არა-სამეურნეო კომერციულ საქმიანობაში ახალი და გაუმჯობესებული მეთოდების გაცნობას

ჩამოაყალიბა რაიონის მუშა ჯგუფი, რათა გაძლიერდეს კავშირი რაიონის ხელისუფლებას, თემის საინიციატივო ჯგუფებსა და კოოპერაციულ ჯგუფებს შორის

მოკლედ პროექტის შესახებ:

პროექტის მიზანი: სოფლის მოსახლეობის საარსებო საშუალებების მდგრადი განვითარება და სიღარიბის დონის შემცირება საქართველოს მთიან რაიონებში

სამოქმედო არეალი: ადიგენის, ახალციხისა და ასპინძის რაიონები

პროექტის ხანგრძლივობა: 2002 წლის აპრილი- 2005 წლის ივნისი

პროექტის ღირებულება: ££ 846, 700